პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 13 ივლისი, 1943 წ. № 148 (6773). ფასი 20 კაპ.

მამაცობა, საზრიანობა, ინიციატივა

მეშვიდე დღეა დაძაბული, გიგანტური ბრძოლებისა ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით. მეშვიდე დღეა გერმანელთა გააფთრებული ბრძოლებისა გასტეხონ წითელი არმიის გმირ მებრძოლთა წინააღმდეგობა, მეშვიდე დღეა იმ ეპოპეისა, რომელიც საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში შევა, როგორც შევიდა ბრძოლები სტალინგრადისა და ლენინგრადისათვის, მოსკოვისათვის, სევასტოპოლისა და ოდესისათვის.

ჯერ კიდევ ადრეა საბოლოო დასკვნის გაკეთება ბრძოლების შედეგის შესახებ. მათი დაძაბულობა არ ნელდება. მიუხედავად უდიდესი ზარალისა, გერმანელებს ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთ გეგმაზე. ჰიტლერულ სარდლობას ბრძოლაში გამოჰყავს ახალი დიდი ძალები. ჩვენი სამშობლოს მამაც დამცველებს მოეთხოვებათ შეუსუსტებელი სიმედგრე და გამძლეობა. გააფთრებულ ბრძოლებში ისევ და ისევ გამოვლინდა წითელი არმიის ყველა შესანიშნავი თვისება.

მთელი ჩვენი ქვეყანა სულგანაბული ადევნებს თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას. და დიად სიამაყეს ჩვენი შვილებისათვის შეუპყრია მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი არწივები! ჩვენ ვიცით, არ შეარცხვენენ ისინი მშობლიურ მიწა-წყალს. ძვირად დაუჯდება მტერს თვისი გონებაჩლუნგი თავისმოიმედეობა.

ჰიტლერელები დიდხანს და გულდასმით ამზადებდნენ თავიანთ გენერალურ შეტევას. მათ წითელი არმიის თავდაცვითს ხაზებს თავს დაატეხეს ლითონის უზარმაზარი მასა. მათ ბრძოლაში გამოიყვანეს თავიანთი მძიმე ტანკების ჯოგები, ფრონტის ყველა უბნიდან და დასავლეთიდან მოუყარეს თავი ბომბდამშენებს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ არა მარტო ჩაახშობდნენ ჩვენს ჯარებს რიცხობრივი უპირატესობით, არამედ თავბრუს დაახვევდნენ მოულოდნელობით, მორალურად დათრგუნავდნენ, შიშის ზარს დასცემდნენ დიდძალ მგრგვინავ ფოლადის ურჩხულთა სანახაობით.

ჰიტლერელები წინანდებურად სასტიკად მოსტყუვდნენ. საბჭოთა მეომარი გერმანული საზომით როდი განიზომება. იგი სხვანაირად არის აღზრდილი. იგი საბჭოთა ხალხის შვილია. შეუძლებელია მისი შეშინება ზარბაზნით. შეუძლებელია მისი შეშინება აგრეთვე ტანკით, როგორი სახელწოდებაც არ უნდა მოიგონონ მტრის ტანკისათვის.

როდესაც გერმანელთა ტანკი მუხლუხების გრუხუნით, ქვემეხთა კვამლში გახვეული, ცეცხლის ფრქვევით მოადგება სანგარს, სადაც საბჭოთა მეომარი იმყოფება, მტერი ფიქრობს, რომ საბჭოთა მეომარი დაიღუპა, რომ იგი გაყრუებულია, რომ მას აღარა აქვს ბრძოლის უნარი... ეს ასე მხოლოდ გერმანელებს ჰგონიათ. მაგრამ აი კურსანტი ივანოვი, ჩვეულებრივი რუსი, საბჭოთა ადამიანი, არ შედრკა, როდესაც სანგარს გერმანული ურჩხული მოადგა. იგი მხოლოდ უფრო დაბლა დაიხარა სანგარში და დაუცადა, სანამ მტრის ტანკებმა გადაიარეს. ხოლო შემდეგ წელში გასწორდა და უკანიდან დაუშინა ტანკებს საწვავსითხიანი ბოთლები. მტრის 3 ტანკი მოძრავ კოცონად გადაიქცა.

ასე მოიქცა კურსანტი ივანოვი. ასე იქცევიან ასობით და ათასობით რიგითი მებრძოლნი. სიმამაცე წარმოშობს საგმირო საქმეებს, რომელნიც აკვარწყლებენ გერმანელთა ტაქტიკას. სიმამაცისაგან წარმოსდგება სიდინჯე და ორგანიზებულობა. გერმანელებს ბრმად სწამდათ თავიანთი ტანკის უვნებადობა, შეჰქმნეს ახალი მითი და მთელი მსოფლიო გააყრუეს მისი ამბით. ხოლო საბჭოთა მებრძოლის მამაცურმა სიმტკიცემ „უვნებად“ ტანკში ფრიად ვნებადი ადგილები აღმოაჩინა. მითი „ვეფხვის“ შესახებ დაცარიელებულია საბჭოთა მსროლელების ჯავშნგამტანი ტყვიებით და საბჭოთა არტილერისტების ყუმბარებით.

საბჭოთა მეომრის მამაცობა შეხამებულია მის მოსაზრებულობასთან. საზრიანობა რუს ადამიანს სასესხებელი როდი აქვს. ამას მტრებიც კი არ ურჩყოფდნენ. ხოლო საზრიანობა ოსტატობასთან ერთად დიდ ძალას აძლევს მამაც ადამიანს. იგი არავითარ პირობებში არ იბნევა. იგი თავის საქმეს მაშინაც კი არ სთვლის წაგებულად, როდესაც მდგომარეობა თითქოს უიმედოა.

წითელარმიელ გრაჩკოვს ბრძოლაში ყველა ვაზნა გამოელია და იგი ტყვედ ჩაიგდეს. მაშ მორჩა, გათავდა? სრულიადაც არა, გრაჩკოვი არ დაეცა სულით, არ დაიბნა. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მტრის ყოველ მოძრაობას. მან შეარჩია მომენტი, მოჰკლა მისი მობადრაგე ორი ჰიტლერელი, თავის ქვეგანაყოფში დაბრუნდა და კვლავ ბრძოლაში ჩაება.

შესანიშნავი ორთაბრძოლა გაიმართა მტრის ტანკ „ტ-6“ და გვარდიის ჯავშნმტვრეველ წითელარმიელ ამხ. განჯას შორის. პირველმა მისმა გასროლამ — პირდაპირ—ვერ შეაჩერა მანქანა. იგი კვლავ მოიწევდა ადამიანისაკენ. განჯა ჩაჯდა სანგარში და როდესაც ტანკმა სანგარს გადაუარა, უკანიდან ესროლა მას. ტანკი მობრუნდა და კვლავ ადამიანს შეუტია, მაგრამ საბჭოთა მეომარმა მოასწრო საცეცხლე პოზიციის გამოცვლა. მესამედ ესროლა, ამ ჯერად „ვეფხვის“ კორპუსის ქვემო ნაწილში. მანქანას ცეცხლი მოედო. ადამიანმა გაიმარჯვა. იგი გადაარჩინა მამაცობამ, მოსაზრებულობამ, ოსტატობამ.

ათასობით ამგვარი საგმირო საქმისაგან, მებრძოლთა და მეთაურთა, ცალკეულ ქვეგანაყოფთა და მთელი ნაწილების მოსაზრებულობისა და ინიციატივისაგან იქმნება ის მედგარი წინააღმდეგობა, რომელიც ამსხვრევს მტრის გააფთრებულ შემოტევას. გერმანელთა ტექნიკის წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს ჩვენი მძლავრი ტექნიკა, ხოლო მასთან ერთად გვაქვს საბჭოთა მეომრის მამაცი გული მისი გამჭრიახი, ნათელი გონება, მისი მოსაზრებულობა, აღზრდილი კულტურის მთელი სისტემით, ჩვენი მორალის ადამიანურობით, ფრონტზე მებრძოლისა და ზურგში მშრომელთა დამოუკიდებლობის განვითარებით.

იმისათვის, რომ მოიპოვონ თუნდაც დროებითი უპირატესობა ჰაერში, გერმანელები ცდილობენ „გამანადგურებელი ბარიერი“ შეჰქმნან ჩვენს ავიაგამანადგურებლებსა და თავიანთ ბომბდამშენებს შორის. ჩვენმა მფრინავებმა გამოიცნეს მტრის ხერხი. საბჭოთა ავიაგამანადგურებლების ძირითადმა ჯგუფმა რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ იწყო მტრის „ბარიერის“ შემოვლა ფლანგებიდან.

ეს არის ინიციატივის გამოჩენის მაგალითი. ასეთი მაგალითი მრავალია. ისინი ცხადჰყოფენ ინიციატივის გამოჩენის უმდიდრეს შესაძლებლობებს, რასაც წითელი არმიის წესდებანი ანიჭებენ ჩვენს მეთაურებს.

მტერმა მთელი თავისი იმედი თავისი ტანკების ჯავშანზე დაამყარა. თქმა არ უნდა, ჯავშანი სერიოზული საქმეა. მძიმე ტანკების მასირებულ დარტყმას დიდი ძალა აქვს, და ის გარემოება, რომ ამ დარტყმებმა გერმანელებს არ მისცა სასურველი ეფექტი, წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი გულადი მებრძოლების მამაცობასა და გმირობაზე, ჩვენი საბრძოლო ტექნიკის ძლიერებაზე.

როგორიც უნდა იყოს ცალკეული მომენტები გააფთრებულ ბრძოლაში, როგორი გაჭირვებაც უნდა შეგვხვდეს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება! ძალები შემოწმებულია ისტორიულ ბრძოლებში, ახლა ჩვენ ვიცნობთ გერმანელებს, ვიცით მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ვიცნობთ ჩვენს თავსაც. ჯერ კიდევ ძლიერია მტერი, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ, ჩვენს მხარეზეა სიმართლე, ჩვენს მხარეზე იქნება გამარჯვება.

ბრძოლები გრძელდება. თქვენთან ვართ, ჩვენო მშობლიურო მეომრებო, მთელი ჩვენი აზრითა და ფიქრით, მთელი ჩვენი გრძნობით!

უდიდესი სიყვარულით, თაყვანისცემით შრომობენ საბჭოთა ადამიანები და აგზავნიან ფრონტზე ახალ მანქანებს, ქვემეხებს, საომარ მასალას. თქვენი მამაცობა აძლიერებს მათს დარტყმითს მოქმედებას, თქვენი მოსაზრებულობა მას აორკეცებს, ინიციატივა ასამკეცებს. მაშ დაე იცოდეს წყეულმა მტერმა, თუ როგორ ურტყამს მტერს ოსტატობას სავსებით დაუფლებული საბჭოთა მეომარი, საბჭოთა მეომარი, რომელსაც ვერც ვეფხვი—მანქანა, ვერც ტურა—ფაშისტი ვერ შეაშინებს.

„პრავდის“ მოწინავე, 11/VII.

ცნობა

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა და მათ მიერ სსრ კავშირის მოქალაქეებისა. კოლმეურნეობებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ქალაქ კრასნოდარსა და კრასნოდარის მხარეში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ

როგორც კი ქალაქი კრასნოდარი განთავისუფლებულ იქნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, „გერმანული ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა დამდგენ და გამომკვლევ საგანგებო სახელმწიფო კომისიაში“ შემოსულა ფაქტ მასალებმა იმის შესახებ, რომ ქალაქ კრასნოდარისა და კრასნოდარის მხარის ოკუპაციის პერიოდში გერმანელთა სარდლობამ და გესტაპოელებმა—გერმანელ ფაშისტთა მე-17 არმიის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა **რუფმა**, ქალაქ კრასნოდარის სადამსჯელო ორგანოების უფროსმა—პოლკოვნიკმა **ტრისტმანმა**, მისმა მოადგილემ და გესტაპოს საპყრობილის უფროსმა კაპიტანმა **რაბემ**, ოფიცრებმა—**პაშენმა, ვინცმა, განმა**, შტურმბანფიურერმა **სალგემ, სარგომ, მიუნსტერმა**, **ერიხ მაიერმა**, გესტაპოს საპყრობილის ექიმებმა **ბერცმა** და **შუსტერმა**, თარჯიმნებმა **იაკობ ეიკსმა** და **შერტერლანმა**, გამცემ ვ. ვ. **ტიშჩენკოსთან**, ნ. ს. **პუშკარიოვთან**, ი. ა. **რეჩკალოვთან**, გ. ნ. **მისანთან** და ნ. ვ. **ლასტოვნინთან** ერთად, მხეცურად გაუტეხეს მომშამავი გაზების—ნახშირქვეანგის საშუალებით 6.700-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის ქალები, მოხუცები და ბავშვები, რომლებიც საჯურნალოდ იყენებენ ქალაქ კრასნოდარის საავადმყოფოებში, დისპანსერებში, აგრეთვე დაპატიმრებული იყვნენ და გესტაპოს საპყრობილეში იმყოფებოდნენ.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის დავალებით ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა შეამოწმეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების შესახებ შემოსული ზოგიერთი მასალა და გამოირკვა, რომ ქალაქ კრასნოდარის განაპირა უბანში, საზომ ხელსაწყოთა ქარხნის რაიონში, დიდ ტანკსაწინააღმდეგო ორმოში დაფლული იყო გაზებით მოწამლულ საბჭოთა მოქალაქეების რამდენიმე ათასი გვამი, რომლებიც იქ გესტაპოელებს ჩაუყრიათ. საბჭოთა მოქალაქეების მრავალი გვამი, რომლებიც ამ ორმოში აღმოჩნდა, გამოიცნეს ნათესავებმა—ქალაქის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, როგორც საავადმყოფოებში სამკურნალოდ მყოფნი, ან როგორც გესტაპოს მიერ დაპატიმრებულნი.

სამედიცინო ექსპერტიზამ ექიმების **ჩორნაიას, ბარანოვის, კუშოვის, კოსობაევის** და **ხაბახაშვილის** შემადგენლობით, ტანკსაწინააღმდეგო ორმოს სხვადასხვა ადგილს აღმოჩენილ საბჭოთა მოქალაქეების მნიშვნელოვანი რაოდენობის გვამთა შემოწმებისა და გაკვეთის შედეგად დადგინა, რომ ყველა ისინი გერმანელ ფაშისტ ჯალათებს დაუხოცავთ ნახშირქვეანგით მოწამვლის საშუალებით.

საგანგებო სახელმწიფო კომისიამ ქალაქ კრასნოდარში და კრასნოდარის მხარეში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საზარელი მხეცობის შესახებ მთელი მიღებული მასალა გადაგზავნა სსრ კავშირის პროკურორს, გამოაუგზავნა სსრ კავშირის პროკურორს, გამოაგზავნა სსრ კავშირის მოქალაქეთა სასიცოცხლოდ საშიში ადგილებიდან, ასევე ადგილობრივ ორგანოებს, ასევე ადგილობრივ ორგანოებს, ასევე ადგილობრივ ორგანოებს

ამხანაგი სტალინი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა მცირე გამოცემა ამხანაგ ი. ბ. სტალინის წიგნისა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ". ამ გამოცემაში შეიდა ამხანაგ სტალინის ყველა გამოსვლა და ბრძანება, რაც სამამულო ომის პერიოდში პრესაში იყო გამოქვეყნებული. თითოეული ამ გამოსვლათაგანი არის ისტორიული მიჯნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელი ომის გზაზე, არის დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს მტერთან წმიდა ბრძოლისათვის, რომელიც ამობილიზებს ხალხის ძალებს, უჩვენებს გამარჯვების გზას.

1941 წლის 3 ივლისს სამხსოვრო დილას, როდესაც ჰიტლერელ ავანტიურისტთა მექანიზებული ურდოები, ხვდებოდნენ რა წითელი არმიის გმირულ წინააღმდეგობას, ჩვენი ქვეყნის სიღრმეში ჰოიჭრებოდნენ, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს მიმართა ამაღელვებელი მეგზნებარე მოწოდებით: დარაზმულიყვნენ ბოლშევიკების პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის თავდადებული მხარდაჭერისათვის, მტრის განადგურებისათვის, გამარჯვებისათვის. მკაცრი ბოლშევიკური პირდაპირობით ამხანაგმა სტალინმა მიუთითა საბჭოთა ადამიანებს მთელი სიდიდე იმ საფრთხისა, რაც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, ვერაგულად დაესხნენ რა თავს ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას, ჰიტლერელმა იმპერიალისტმა ყაჩაღებმა მიზნად დაისახეს გაენადგურებინათ და მოესპოთ ჩვენი სახელმწიფო, ხელში ჩაეგდოთ ჩვენი მიწები, ჩვენი პური, ჩვენი ნავთი, ჩვენი აყვავებული ინდუსტრია, ყველაფერი, რაც საბჭოთა ხალხის ათეული წლების თავდადებული შრომით იყო შექმნილი. სასტიკმა, საზიზღარმა მტერმა განიზრახა საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხები გერმანელი მემამულეების, თავადებისა და ბარონების უბადრუკ მონებად ექცია.

„ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლის; საქმე ეხება იმას—თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ" (გვ. 11).

1941 წლის 3 ივლისს თავის ისტორიულ გამოსვლაში ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ ფაშისტურ გერმანიასთან ომი არ შეიძლება ჩვეულებრივ ომად ჩაითვალოს. „იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ" (გვ. 13).

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ მოგველის მკაცრი და ძნელი ომი. ამხანაგ სტალინის სიტყვამ საბჭოთა ადამიანები აღაფრთოვანა. უფრეკი რწმენით ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისადმი, რწმენით ჩვენი ძალებისადმი, მისცა ყოველ საბჭოთა პატრიოტს ფრონტზე და ზურგში საბრძოლო კონკრეტული ამოცანები საზიზღარ მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა მთელ საბჭოთა ხალხს დაუყოვნებლივ გარდაექმნა თავისი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაემორჩილებინა ფრონტის ინტერესებისა და მტრის განადგურების მოწყობის ამოცანებისათვის. იგი მოუწოდებდა წითელ არმიას, წითელ ფლოტს და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს"... დაეცვათ ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყალი, უკანასკნელ სახლის წვეთამდე ებრძოლათ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, გამოეჩინათ ჩვენი ხალხის დამახასიათებელი გამბედაობა, ინიციატივა და გამჭრიახობა" (გვ. 12).

1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, თუ რა ზომები უნდა მიგველო, რომ მოგვეხდინა ლავდაცია იმ საფრთხისა, რომელიც ჩვენს სამშობლოს ემუქრებოდა, რომ გაგვანადგურებინა მტერი. ამხანაგმა სტალინმა განმარტა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძირითადი თავისებურებანი. დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა განჭვრიტა ამ ომის ძირითადი კანონზომიერებანი, განვითარების მსვლელობა, ომისა, რომლის მსგავსიც ჯერ კიდევ არ ყოფილა ისტორიაში თავისი მასშტაბებისა და მნიშვნელობის მიხედვით. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ თუმცა ფაშისტურმა გერმანიამ სსრ კავშირზე უეცარი, ვერაგული თავდასხმის შედეგად, მიაღწია თავისი ჯარების ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას, მოკლე ხნის განმავლობაში, მაგრამ მან წაგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა.

„ეჭვი არ არის,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეფიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზეც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში" (გვ. 10).

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხების ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ამხანაგ სტალინის ისტორიული წინასწარმეტყველება თავისუფლებისმოყვარე ხალხების ერთიანი ფრონტის შესახებ, რომელიც იბრძვიან ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ, გამართლდა. ომის მსვლელობაში შეიქმნა და განმტკიცდა დიდი თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოების—სსრ კავშირის, ინგლისისა და ა. შ. შტატების მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელიც ეწევა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს ჰიტლერული გერმანიისა და ევროპის გაძარცვაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ.

* * *

ემყარებოდა რა ყველაზე მოწინავე მეცნიერულ მსოფლმხედველობას, მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას ხაზოგადოების შესახებ, ამხანაგმა სტალინმა თავის გამოსვლებში მეცნიერული ანალიზის მთელი სიღრმით, წინასწარეტყველის უდიდესი ძალით განსაზღვრა დიდი სამამულო ომის მსვლელობა და მისი პერსპექტივები. მან ახსნა წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზები და გვიჩვენა ძირითადი, მუდმივ მოქმედი ფაქტორები, რომლებიც გერმანელ იმპერიალისტთა და მათი არმიების განადგურებას გარდუვალს ხდიან.

ომის უკვე პირველ პერიოდში წითელმა არმიამ შუაპირავარ თავდაცვითს ბრძოლებში ქანცი გამოაცალა და მოსპო მტრის დიდი ძალები, მნიშვნელოვნად გამოუთხარა ძირი მის შეტევითს ძლიერებას. ომის ყოველ თვეში საბჭოთა კავშირს სულ უფრო მეტად შეეძლო მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად გამოეყენებინა თავისი მძლავრი ძალები. ომის მსვლელობაზე სულ უფრო მეტი გავლენის მოხდენა იწყეს ომის მუდმივად მოქმედმა, ძირითადმა ფაქტორებმა. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის მაღალი მორალური სულისკვეთება წითელი არმიისა, რომელიც თავდადებით იბრძვის თავისი საბჭოთა სამშობლოსათვის, შემდეგ, ეს არის სიმტკიცე საბჭოთა ზურგისა, რომელიც ამხანაგ სტალინის მოწოდებათ ერთიან საბრძოლო ბანაკად იქცა, დღედაღამ სჭედს იარაღს და ამზადებს საომარ მასალას, ამარაგებს მშობლიურ წითელ არმიას ყოველივე იმით, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის. ხოლო მტრის მზარეზე მუდმივად ჰოქმედი ფაქტორია ჰიტლერელ დამპყრობთა ევროპისა და გერმანიის ზურგის უმტკიცობა.

წითელი არმიის მიერ საბრძოლო გამოცდილების დაგროვებამ, რეზერვების დაო�sავმა ბომზადებამ, საჭურველის მზარდმა წარმოებამ საბჭოთა ზურგში—ომის ყველა ამ მუდმივად მოქმედმა ფაქტორმა ის გამოიწვია, რომ ომის მსვლელობაში გაჰქრა ჰიტლერული არმიის დროებითი უპირატესობანი. საბჭოთა კავშირის ხალები ეთარიდობოდნენ და მტკიცდებოდნენ ომის მსვლელობაში, ხოლო ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერება და სამხედრო ეკონომიკა სიფუძვლიანად ძირგამოთხრილი, სერიოზულად დასუსტებული აღმოჩნდნენ.

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხსა და მთელ მსოფლიოს უჩვენა მტრის სახე—ვერაგი და საზიზღარი, სასტიკი და თავხედი, თავდაჯერებული და მხდალი მტრის სახე. ჰიტლერელები არიან გერმანელი პლუტოკრატიისა და მემამულეების ქოფაკი ძაღლები, კულტურის დამნგრეველები, საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულები. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც დაუკარგავთ ადამიანის სახე და მხეცების დონემდე დაცემულან.

„და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინიდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, ყაბინერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის ბოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკისა და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!.." (გვ. 27).

გერმანელმა დამპყრობლებმა გამოაცხადეს გამანადგურებელი ომი სსრ კავშირის ხალხების წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები, ისე როგორც ერთი კაცი, გამოეხმაურნენ ამხანაგ სტალინის საბრძოლო მოწოდებას:

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

* * *

ომის მსვლელობაში ბრწყინვალედ გამართლდა ამხანაგ სტალინის მეცნიერული წინასწარმეტყველება, მის მიერ მდგომარეობისა და ომის პერსპექტივების შეფასება.

1941 წლის ყველაზე მძიმე დღეებში, როდესაც გერმანელი ფაშისტი ყაჩაღები გაფოთრებით მოიწევდნენ მოსკოვისაკენ, ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, აეღოთ ჩვენი დედაქალაქი, 1941 წლის 6 და 7 ნოემბერს მოსკოვიდან მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში გაისმა ამხანაგ სტალინის მტკიცე, რწმენით აღსავსე ხმა, რომელიც ახალი ენერგია, შეუდრეკელი მამაცობა შთაბერა გულში ყველა საბჭოთა ადამიანს. ბევრ ადგილას იყო საჰაერო განგაში, სვეტლნენ საზენიტო ქვემეხები, მაგრამ ადამიანები რუბორებს არ შორდებოდნენ, ისმენდნენ საყვარელი ბელადის სიტყვას. მათი გული იგზნებოდა დიადი მამაცობით. რომელიც ძალას ძლევდა მათ ყველაზე მეტი განსაცდელი გადაეტანათ.

1941 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გენიალური გამჭრიახობით დაგვანახვა, როგორ განვითარდებოდა ომები უახლოეს მომავალში. ამხანაგმა სტალინმა განმარტა, თუ რატომ ჩაშალა გერმანელ ფაშისტთა გეგმა „ელვისებური ომისა" სსრ კავშირის წინააღმდეგ. მან იწინასწარმეტყველა, რომ 1941 წლის ზამთარი არაფერს კარგს არ უქადის ჩვენს მტრებს. მან აღნიშნა, რომ „სამამულო ომის ცეცხლში იქედებიან და უკვე გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები და მითოსტრები, მფრინავები, არტილერისტები, ნაღმმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითნი, მეზღვაურები, რომლებიც ხვალ გერმანიის არმიის რისხვად გადაიქცევიან" (გვ. 21-22).

და მაღე, 1941 წლის დეკემბერში, წითელმა არმიამ, რომელიც მართლაც გადაიქცა გერმანიის არმიის რისხვად, განადგურა გერმანელ ფაშისტთა ჯარები მოსკოვის მიადგომებთან. ეს იყო გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში, რამაც ცხადყო, რომ წითელი არმია წარმოადგენს მძლავრ ძალას, რომელსაც შესწევს უნარი არა თუ გაუძლოს გერმანელ ფაშისტთა ჯარების გაფთრებულ შემოტევას, არამედ კიდეც დამარცხოს ისინი ბრძოლის ველზე.

1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე, ისარგებლეს რა მეორე ფრონტის არარსებობით ევროპაში, გერმანელებმა ძალთა დიდი უპირატესობა შეჰქმნეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, შეტევაზე გადმოვიდნენ და, უდიდესი ზარალის ფასად, სტალინგრადსა და კავკასიონს მთის კალთებს მოაღწიეს. მაგრამ წითელი არმია უკვე უმზადდება მტერს ახალ გამანადგურებელ დარტყმებს. თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაში ნათქვამი იყო: „შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!"

და ეს დღესასწაული მალე დადგა. 1942 წლის ნოემბერში დაიწყო წითელი არმიის დიდი შეტევა, რომელიც მობრუნების პუნქტად გადაიქცა ომის მთელ მსვლელობაში.

* * *

რა შეადგენს წითელი არმიის დიადი მორალური ძალის უმნიშვნელოვანეს წყაროს, მისი გმირობის წყაროს?

„...წითელი არმიის ყოველ მებრძოლს შეუძლია სამაყოო სთქვას, რომ იგი ეწევა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს, ომს თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური ხელ დიადი მიზანი, რომელიც აღფრთოვანებს მას საგანრო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს, ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის" (გვ. 42-43).

საბჭოთა სამშობლოს დაცვის იდეა, კეთილშობილური საბჭოთა პატრიოტიზმი—საბჭოთა ხალხების განვითარების ეს მძლავრი მამოძრავებელი ძალა დიდი სამამულო ომის პირობებში—განსაკუთრებული, ზეზნებარეული ძალით გამოვლინდა. საბჭოთა სამშობლოს დაცვის იდეამ წარმოშვა საბჭოთა მეომრების და ყველა საბჭოთა ადამიანის ისეთი მასობრივი გმირობა, ისეთი რკინისებური სიმტკიცე, მამაცობა, თავგანწირვა, რომელიც სამუდამოდ შევა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც მისი ყველაზე სახელოვანი ფურცელი.

ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა მეომრებს, რომელთაც ჭფარავთ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა, თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აღფრთოვანდენ ჩვენი დიდი წინაპრების, დიდი პატრიოტებისა და სარდლების მამაცური სახეებით. და დღეს წითელი არმიის ბევრ მამაც ოფიცერსა და გენერალს მკერდს უმშვენებს ალექსანდრე ნეველის, მიხეილ კუტუზოვის, ალექსანდრე სუვოროვის სასახელო ორდენები.

საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ხალხი სიყვარულით აჯილდოებენ თავიანთ მამაც, გმირ შვილებს. სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელარმიისა და წითელი ფლოტის 894.753 მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი გულადობისა და მამაცობისათვის, რაც მათ საბჭოთა სამშობლოსთვის ბრძოლებში გამოიჩინეს. ეს სავსებით ცხადყოფს საბჭოთა ხალხისა და მისი წითელი არმიის მსობრივ გმირობას.

ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მედგარ ბრძოლებში 1941 წლის შემოდგომაზე წარმოიშვნენ გვარდიის პირველი დივიზიები და ბრიგადები. მათ დაიმსახურეს ეს მაღალი სახელწოდება, გვიჩვენეს რა მამაცობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუშები. ახლა კი წითელ არმიას უკვე 100-მდე გვარდიის მსროლელი დივიზია ჰყავს.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც ამხანაგ სტალინის მოწოდებით შეიქმნენ მტრის მიერ დროებითად დაპყრობილ მთელ ტერიტორიაზე. სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში გმირმა სახალხო შურისმგებლებმა 300.000-ზე მეტი ჰიტლერელი არამზადა გაანადგურეს. სულ ცოტა 3.000 მატარებლის მარცხი მოაწყეს.

ამხანაგ სტალინის მოწოდებით ჩვენი ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაიქცა. ომის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა უმაგალითო მოკლე ვადიში გარდაჰქმნა მეურნეობა საომარ ყაიდაზე, ორგანიზებულად გადაიტანა მრეწველობის ბაზა იმ რაიონებიდან, რომლებსაც საშიშროება მოელოდა, აღმოსავლეთში, ადგო ასობით ახალი სამრეწველო საწარმო, გაადიდა ყველა სახის საჭურველისა და საომარი მასალის წარმოება. კოლმეურნეობა გლეხობამ გაადიდა ნათესების ფართობი, იგი თავგამოდებით იბრძვის უხვი მოსავლისათვის, ამარაგებს წითელ არმიასა და ჩვენს ქვეყანას სურსათ-სანოვაგით. საბჭოთა ხალხი უდიდეს მზრუნველობას იჩენს თავისი წითელი არმიისათვის, ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების გადიდებისათვის. ოთხ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა წითელი არმიის ფონდში შეიტანეს 7 მილიარდზე მეტი მანეთი. ერთი დღე-ღამის განმავლობაში გადამეტებით განაღდებულ იქნა მეორე სამხედრო სესხი. რამაც 20-ზე მეტი მილიარდი მანეთი მისცა მეიუჯეტს. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ომი ფერმანელების წინააღმდეგ მართლაც წარმოადგენს საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის საერთო-სახალხო ომს.

საბჭოთა პატრიოტიზმი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ნაციონალური სიამაყე საოცრად შედღეებულია ახალი, საბჭოთა საზოგადოების წევრთა დემოკრატიულ, სოციალისტურ შეგნებასთან. რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ნაციონალურ სიამაყის ასაზრდოებს მძლავრი ისტორიული ფესვები, ამ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია, აღაფრთოვანებს ჩვენი დიდი წინაპრების სახელოვანი საგმირო საქმენი სამშობლოს თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი დიადი სოციალისტური მშენებლობის გიგანტური წარმატებებით. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თავიანთი მამაცი წითელი არმიის გმირული საქმეებით, წითელი არმიისა, რომელმაც ორი წლის მანძილზე უმაგალითო მძიმე ბრძოლების მსვლელობაში გააცამტვერა გერმანელ იმპერიალისტთა ავანტურისტული ფეიმები მიმართულნი საბჭოთა კავშირის ხალხთა დამონებისაკენ. საბჭოთა ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი ზურგის სტაბილურობით და ორგანიზებულობით, რომელიც თავგამოდებით ეხმარება წითელ არმიას გამარჯვების გამოკვლევაში.

* * *

ამხანაგ სტალინის ყოველი გამოსვლა კაშკაშა პროგენტორივით აშუქებს ომისა და საერთაშორისო ვითარების ურთულეს საკითხებს, მიგვითითებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერსპექტივებს, ახდენს საბჭოთა ადამიანების ნებისყოფის, ენერგიის მობილიზებას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის, აღაფრთოვანებს საბჭოთა პატრიოტებს საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებისათვის ფაშისტ მხეცზე გასამარჯვებლად.

უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 1 მაისის ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ჰიტლერული გერმანია და მისი არმია შეუდგენელი არიან და კრიზისს განიცდიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი.

„საჭიროა კიდევ ორი-სამი ისეთი მძლავრი დარტყმა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, როგორიც განიცადა ჰიტლერულმა არმიამ უკანასკნელი 5-6 თვის განმავლობაში, იმისათვის, რომ ჰიტლერული გერმანიის კატასტროფა ფაქტი გახდეს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხებს და მათს წითელ არმიას, ისევე როგორც ჩვენს მოკავშირეებსა და მათს არმიებს, კიდევ მოელინთ სასტიკი და ძმიმე ბრძოლა ჰიტლერელ მტაცებლებზე სრული გამარჯვებისათვის. ეს ბრძოლა მოსთხოვს მათ დიდ მსხვერპლს, უდიდეს გამძლეობას. რკინისებურ სიმტკიცეს. მათ მობილიზაცია უნდა უყონ მთელ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს იმისათვის, რომ დაამარცხონ მტერი და ამრიგად გზა გაიკაფონ მშვიდობიანობისაკენ",—გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

1943 წლის საპირველმაისო ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას მოუწოდა გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ ფრონტისათვის, იმიტომ, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებული ომი მოითხოვს, რათა წითელი არმია იღებდეს კიდევ უფრო მეტ ქვემეხებს, ტანკებს, თვითმფრინავებს, ტყვიამფრქვევებს, ავტომატებს, ნაღმსატყორცნებს, საომარ მასალას, საჭურველს, სურსათ-სანოვაგეს.

წითელმა არმიამ ომის განმავლობაში მდიდარი საომარი გამოცდილება შეიძინა. ასითასობით მებრძოლი საუსებით დაეუფლა თავის იარაღს, მეთაურებმა ისწავლეს ჯარების უნარიანად მართვა ბრძოლის ველზე. მაგრამ არ შეიძლება ამით დამშვიდება, სამხედრო საქმეში არ შეიძლება შეჩერება, რადგან ეს ნიშნავს ჩამორჩენას.

„...ახლა მთავარი ის არის, რომ მთელმა წითელმა არმიამ დღითი-დღე აუმჯობესოს თავისი საბრძოლო წრთვნა, რომ წითელი არმიის ყველა მეთაურმა და მებრძოლმა შეისწავლოს ომის გამოცდილება, ისწავლოს ბრძოლა ისე, როგორც ამას გამარჯვების საქმე მოითხოვს",—ამბობს საპირველმაისო ბრძანებაში უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი სტალინი.

ძალთა თანაფარდობა ომის მსვლელობაში შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენი მოკავშირეების სასარგებლოდ. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მეორე ფრონტის შესაქმნელად ევროპის კონტინენტზე. „...სწორედ ახლა, როცა ფაშისტი მხეცი თავის უკანასკნელ ძალებს ძაბავს,—აუცილებელია მოიწყოს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების საერთო შეტევა ომისათვის, რომ საბოლოოდ მოესპოთ ეს მხეცი და ვიხსნათ ხალხები ფაშისტური ჩაგვრისაგან",—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი თავის პასუხში ინგლისის რეიტერის საგენტოს მთავარი კორესპონდენტის შეკითხვაზე.

* * *

ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" იდეურად აიარაღებს ჩვენს ხალხს ჩვენი მართალი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენით, გამარჯვების გზას უჩვენებს მას. უაღრესად მართალია ამხანაგი მ. ი. კალინინი, როდესაც ამბობს, რომ „მიმდინარე ომების უფრო ღრმად გაგებისა და გაანალიზებისათვის სრულად აუცილებელია, რომ ყველა საბჭოთა ადამიანმა კიდევ და კიდევ ერთხელ წაიკითხოს და საფუძვლიანად ჩაუკვირდეს ყველაფერს, რაც ამხანაგ სტალინს უთქვამს სამამულო ომის შესახებ. ვისაც სურს მაქსიმალური სარგებლობით იბრძოლოს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ—მან ყურადღებით უნდა შეისწავლოს ამხანაგ სტალინის გამოსვლები".

ჩვენი საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მხედართმთავრის, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენ მოვიპოვებთ გამარჯვებას.

ჯ. პოსპელოვი

(„პრავდა", 11 ივლისი).

ორგანიზებულად ჩავაბარეთ სამხედრო მოსავლის აღება

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში

მახარაძე („კომუნისტის" სპეც. კორ.). ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მოწინავეა მახარაძის რაიონში. აქ მრავალ ასეულ ჰექტარზეა გაშენებული ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნარგავები. ათვალიერებთ ჩაის პლანტაციებს, და იგრძნობა ნამდვილი მზრუნველი ხელი. საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობს, რომ რაც შეიძლება მეტი ჩაი მისცეს ჩვენს ქვეყანას, მზარდი დახმარება გაუწიოს ფრონტს.

საბჭოთა მეურნეობამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ხარისხობრივი მაჩვენებლები მტკიცედ არის დაცული. მეურნეობამ წელს სახელმწიფოს გეგმით უნდა მისცეს 1.300.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მეურნეობის მთელი კოლექტივი დროულად გამოეხმაურა ქობულეთელთა მოწოდებას, ჩაება შეჯიბრებაში და იკისრა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით მოჭკრიფონ 100.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამჟამად მთელი მუშაობა წარმართულია იქითკენ, რომ წარმატებით შესრულონ ნაკისრი ვალდებულება.

როგორ აღწევს საბჭოთა მეურნეობა წარმატებას? უპირველეს ყოვლისა, შრომის სწორი ორგანიზაციის, მტკიცე დისციპლინის დანერგვით, სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით და კადრებზე ყოველდღიური მზრუნველობის გამოჩენით. საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. პრ. ყაჟიშვილს, მეურნეობის უფროს აგრონომს ამხ. გრ. კუჭუხიძეს სწორად აქვთ განაწილებული ძალები. მოფიქრებულად არის განაწილებული კადრები სხვადასხვა უბანზე. მეურნეობაში მტკიცედ არის დანერგილი ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა.

სერიოზული ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. ცალკეულ აგრონუბნებში ტარდება ჩაის მკრეფავ სტახანოველთა თათბირები, მოწინავე სტახანოველები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას და საუბრობენ მუშაობის იმ მეთოდებზე, რომლითაც ისინი აღწევენ წარმატებებს. ასეთ მუშაობას შედეგად მოჰყვა შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო ზრდა, სტახანოველთა რიგების გამრავლება. სტახანოველმა მუშამ ანა პუშკარსკაიამ სტახანოვური მეთოდით მუშაობა შეასწავლა ამხ. კატუკოვას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ლუბა სურეიკს. საბჭოთა მეურნეობა კანონიერად ამაყობს თავისი სტახანოველებით. ესენი არიან: ნიურა პუშკარსკაია, ეკატერინე პლეტნიოვა, ვარვარა მატვეევკო, ოლია კუზინკო, ტანია გრებენიუკი, შილია დუდკა და მრავალი სხვანი, რომელიც დღიური „გამოუშვაცების ხორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

ჩაის კრეფა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმეთაოები მეურნეობაში მიმდინარეობს ხარისხიანად. მეურნეობის აგროგანყოფილებები დაკომპლექტებული არიან კვალიფიციური კადრებით. კარგად მუშაობენ პიროველი აგრო-განყოფილება (უფროსი ამხ. დ. მოისწრაფეშვილი), მესამე აგრო-განყოფილება (უფროსი ამხ. მოსე ღლონტი), მეხუთე განყოფილება (უფროსი ამხ. ა. გოგელია). გულმოდგინედ მუშაობს ჩაის პლანტაციებში და უნარიან ხელმძღვანელობას უწევს მეოთხე აგრო-განყოფილებას აგრონომი ა. თენიშვილი.

მაგრამ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მეურნეობის მეორე განყოფილების უფროსი ამხ. შ. გობრონიძე. ამ განყოფილებამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა 91 პროცენტით შეასრულა. ეს იმიტომ, რომ აქ მოწესრიგებული არ არის შრომა.

ენერგიული მუშაობით გამოირჩევიან აგროტექნიკოსები: ულიანა შმაგილა, შ. ხაჟუნია, ვ. მექვაბიშვილი, ი. სიტნიკოვი, გრ. ფასიეშვილი და ალ. გრიგორეევა. მეურნეობის აგროგანყოფილებანი წარმატებას მუშაობაში იმით აღწევენ, რომ თითოეული განყოფილება პლანტაციაში ყოველდღიურად აჯამებს განვლილ მუშაობას და სახაზე პრაქტიკულ დონისძიებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამასთან წინადღით ანაწილებს შრომას — თითოეულს ეძლევა დავალება, თუ რა უნდა გაკეთოს მეორე დღეს.

მეურნეობაში კადრებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას იჩენენ, მუშებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. მეურნეობა აგრეთვე უნარიანად იყენებს ჩაისა და სხვა სამუშაოებში ადგილობრივ მოსახლეობას. კარგად მუშაობენ მეურნეობაში სამტრედიის რაიონიდან შოსული მოსწავლეები. სანიმუშოდ დავასახელებთ მოსწავლეებს: ჯენეთი რეგეშვილს, თამარ ჩაჩუას, ქეთო მილორავას და ლალი კუჭუხიძეს.

საბჭოთა მეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთოლი კარგად არის შემოსული. ახლა ამოცანა ის არის, რომ ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ივლისში უზრუნველჰყოს ჩაის კრეფის ტემპების კიდევ უფრო გაძლიერება, ვანამტკიცოს მიწოვები და მთლიანად შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც იკისრა სოციალისტური შეჯიბრებით.

თ. კუნჭულია
ლ. ლოლაძე

გაჩაღდა კურის დამზადება

საგარეჯო („კომუნისტის" კორ.). საგარეჯოს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში დაიწყო მოსავლის აღება. 11 ივლისს მინდორად მუშაობას შეუდგა 34 კომბაინი. ჭურეულის აღება სწარმოებს შერჩევით. კიდევ რამდენიმე დღე, და მოსავლის აღება ბასობრივად გაჩაღდება.

კოლმეურნეობები სახელმწიფოს პირველ განაღეწ მარცვლეულს აბარებენ. სოფ. გიორგიწმინდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თედო კოხტაშვილი) სახელმწიფოს ჩაბარა 5 ტონაზე მეტი მარც